

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 ივნისის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნესის, ფინანსებისა და საბანკო საქმის, ბუღლტრული აღრიცხვის და აუდიტისა და მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრები) პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო -სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ №149/2018 დადგენილება №168/2018 დამტკიცებული დადგენილების პირველი პუნქტით და დადგენილება №168/2018 დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №4

ქ. თბილისი

31 ივნისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ნათელა თურნავა - სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე,
ეკონომიკის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარე)

შალვა მაჭავარიანი - აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

თეა მუწერიშვილი - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი (კომისიის მდივანი)

ნუგზარ პაიჭაძე - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი; (კომისიის წევრი)

მარინე კობალავა - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი (კომისიის წევრი)

მარინა მაისურაძე - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი; (კომისიის წევრი)

გიული ქეშელაშვილი - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი. (კომისიის წევრი)

ოქმის თან ერთვის კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი
(იხ. დანართი).

დღის წესრიგი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№109/01-01 10.05.2018; №110/01-01 10.05.2018) დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნესის, ფინანსებისა და საბანკო საქმის, ბუღლტერული აღრიცხვის და აუდიტისა, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრებზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე

სს "საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე,
ეკონომიკის დოქტორი ნ.თურნავა

მოისმინეს: 1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში

1. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა: პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
2. ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა: პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
3. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა: პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
4. მარკეტინგის კათედრა პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
5. ბუღლტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა: პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №110/01-01 10.05.2018 1.მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული; 2.ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა ასოცირებული პროფესორი - 5 საშტატო ერთეული; 3.საერთაშორისო ბიზნესის კათედრა ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული; 4.მარკეტინგის

კათედრა ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული; 5.ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული-გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისიის თავჯდომარის ნ. თურნავას ინფორმაციით პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი პროცედურების შესაბამისად ჩატარდა. რადგან კონკურსში ყველა მიმართულებით მონაწილეობდა 38 კონკურსანტი (აქედან ერველე პირველი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, ხოლო ელენა ხარაბაძემ 27.07.2018 საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოიტანა განცხადება კონკურსანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე). უნდა განხორციელდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსი გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა.

ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, იხ. დანართი N5), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულებების მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. კომისიის წევრების თანდასწრებით თაგმჯდომარემ დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმებულ იქნა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები :

მარკეტინგის კათედრა პროფესორი 1 (ერთი) ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა თოდუა ნუგზარი -მიღებული ხმების რაოდენობა-6

დაადგინეს : მარკეტინგის კათედრზე გამარჯვებულად გამოცხადდა:

თოდუა ნუგზარი.

მარკეტინგის კათედრა ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) ვაკანტური საკონკურსო
თანამდებობა:

1. ოქრუაშვილი ნანული-მიღებული ხმების რაოდენობა-7;
2. ჯაში ჩარიტა-მიღებული ხმების რაოდენობა-7.

დაადგინეს : მარკეტინგის კათედრზე გამარჯვებულად გამოცხადდა

1. ოქრუაშვილი ნანული;
2. ჯაში ჩარიტა.

საერთაშორისო ბიზნესის კათედრა პროფესორი 1 (ერთი) ვაკანტური საკონკურსო
თანამდებობა

1. შენგელია თეიმურაზ -მიღებული ხმების რაოდენობა-6

დაადგინეს : საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა
შენგელია თეიმურაზ.

საერთაშორისო ბიზნესის კათედრა ასოცირებული პროფესორი 4 (ოთხი) ვაკანტური
საკონკურსო თანამდებობა

1. ბერიშვილი ხათუნა--მიღებული ხმების რაოდენობა-7
2. ბალიაშვილი ელისაბედ--მიღებული ხმების რაოდენობა-0
3. მასურაშვილი იოსებ-მიღებული ხმების რაოდენობა-0
4. სიხარულიძე დავით-მიღებული ხმების რაოდენობა-6
5. სამადაშვილი უშანგი-მიღებული ხმების რაოდენობა-6
6. შაბურიშვილი შოთა--მიღებული ხმების რაოდენობა-6
7. ჭარაია ვახტანგ-მიღებული ხმების რაოდენობა-2
8. ხიხაძე ლალი--მიღებული ხმების რაოდენობა-0

დაადგინეს : საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდნენ:

1. ბერიშვილი ხათუნა
2. სიხარულიძე დავით
3. სამადაშვილი უშანგი
4. შაბურიშვილი შოთა

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა პროფესორი 1 (ერთი) ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა

1. საბაური ლევან -მიღებულ ხმების რაოდენობა -7

დაადგინეს : ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა

1. საბაური ლევან

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა ასოცირებული პროფესორი 3 (სამი) ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა

1. ვარდიაშვილი მარიამ-მიღებული ხმების რაოდენობა-7
2. კვატაშიძე ნადეჟდა-მიღებული ხმების რაოდენობა-7
3. სრესელი ნანა-მიღებული ხმების რაოდენობა-7
4. სოლოდაშვილი დალი-მიღებული ხმების რაოდენობა-0

დაადგინეს : ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდნენ :

1. ვარდიაშვილი მარიამ
2. კვატაშიძე ნადეჟდა
3. სრესელი ნანა

ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა პროფესორი 1 (ერთი) ვაკანტური
საკონკურსო თანამდებობა

1. კოფზანაძე ირაკლი-მიღებული ხმების რაოდენობა-5.

დაადგინეს : ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე გამოცხადდეს
გამარჯვებულად:

კოფზანაძე ირაკლი

ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა ასოცირებული პროფესორი 5 (ხუთი)
ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა

1. ასლანიშვილი დავით-მიღებული ხმების რაოდენობა-3

2. ბარბაქაძე ხათუნა-მიღებული ხმების რაოდენობა-5

3. გოგონია მაია-მიღებული ხმების რაოდენობა-6

4. კასრაძე თეა-მიღებული ხმების რაოდენობა-0

5. ღუდუშაური ლეილა-მიღებული ხმების რაოდენობა-5

6. ჩუთლაშვილი ავთანდილ-მიღებული ხმების რაოდენობა-2

7. ჩიკვილაძე მიხეილ-მიღებული ხმების რაოდენობა-5

8. ჯგერენაია ემზარ-მიღებული ხმების რაოდენობა-2

დაადგინეს : ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე გამარჯვებულად
გამოცხადდნენ:

1. ბარბაქაძე ხათუნა

2. გოგონია მაია

3. ღუდუშაური ლეილა

4. ჩიკვილაძე მიხეილ

ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული დარჩა ვაკანტური.

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა პროფესორი 2 (ორი) ვაკანტური
საკონკურსო თანამდებობა

ნარმანია დავით-მილებული ხმების რაოდენობა-5

ღადანიძე გიორგი-მილებული ხმების რაოდენობა-6

ჩოხელი ევა-მილებულ ხმების რაოდენობა-2

დაადგინეს : მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრზე გამარჯვებულად
გამოცხადდნენ:

1. ნარმანია დავით
2. ღადანიძე გიორგი

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა ასოცირებული პროფესორი 3 (სამი)
ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა

1. გულუა ეკატერინე-მილებული ხმების რაოდენობა-1
2. დობორჯგინიძე სუზანა-მილებულ ხმების რაოდენობა-0
3. ნიუარაძე დავით-მილებული ხმების რაოდენობა-1
4. რამიშვილი ბადრი-მილებული ხმების რაოდენობა-6
5. ტუღუში მირონ-მილებული ხმების რაოდენობა-6
6. შიხაშვილი გიორგი-მილებული ხმების რაოდენობა-2
7. ხარაძე ნატალია-მილებული ხმების რაოდენობა-5

დაადგინეს : მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრზე გამარჯვებულად
გამოცხადდნენ:

1. რამიშვილი ბადრი
2. ტუღუში მირონ
3. ხარაძე ნატალია

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი

- 1.დაღანიძე გიორგი_ დიდი პრაქტიკული გამოცდილებისა და თანამედროვე თეორიების ცოდნა საშუალებას აძლევს მაღალ დონეზე წარმართოს სალექციო კურსები, შეასრულოს კვლევითი სამუშაოები და შექმნას ის ღირებული ახალი ცოდნა, რომელიც მასთან ერთად მომუშავე ახალგაზრდა მკვლევარებს მისცემს საშუალებას ჩამოაყალიბონ თანამედროვე მიმართულება სტრატეგიულ მენეჯმენტში.
- 2.ნარმანია დავით _ სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია და სამეცნიერო ნაშრომი შეფასდა მაღალ დონეზე. იგი აქტიურად ჩართულია თსუ-ს სასწავლო-მეთოდურ საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში. მისი დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მრავალმხრივია. იგი ხელმძღვანელობს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრას. გასაუბრების დროს დასმულ კითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული.
- 3.ჩოხელი ვა- კომისიის წევრება აღნიშნეს რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება სრულად შესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს. წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. კომისიამ აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია სრულად არ ასახავს კვლევით რესურსებს და მოსალოდნელ შედეგებს. კონკურსანტის პასუხი დასმულ შეკითხვებზე იყო დამაკმაყოფილებელი.
4. გულუა ვატერინე-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან. მესამე კატეგორიის მიხედვით: წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. კონკურსანტმა გასაუბრებისას ვერ დაასაბუთა სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მეთოლოგიაში

არსებული ხარვეზები. კონკურსანტის პასუხები სხვა დასმულ შეკითხვებზე იყო არადამაკმაყოფილებელი.

5.დობორჯგინიძე სუზანა -შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან. მესამე კატეგორიის მიხედვით: წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. წარმოდგენილი სტატია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. მეოთხე კატეგორიის მიხედვით პრეტენდეტი არა არის ჩართული თსუ-ს სასწავლო-სამეცნიერო პროცესში. მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებისას კონკურსანტმა წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომისა კონცეფციის ირგვლივ დასმულ კითხვებს ვერ გასცა დასაბუთებელი პასუხი.

6.ნიუარაძე დავითი- შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები ნაწილობრივ თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან. მესამე კატეგორიის მიხედვით: წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. წარმოდგენილი სტატია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებისას კონკურსანტმა წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის ირგვლივ დასმულ კითხვებს ვერ გასცა ამომწურავი პასუხი.

7.რამიშვილი ბადრი-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან.

წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე კონკურსანტმა გასაუბრებაზე კონცეფციის და ნაშრომის ირგვლივ დასმულ კითხვებს გასცა ამომწურავი პასუხი.

8. ტუდუში მირონი-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მესამე კატეგორიის მიხედვით: წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე. კონკურსანტმა გასაუბრებაზე კონცეფციის ირგვლივ დასმულ კითხვებს გასცა ამომწურავი პასუხი.

9.შიხაშვილი გიორგი- შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთნ. მესამე კატეგორიის მიხედვით: წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებაზე კონცეფციის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი.

10.ხარაძე ნატალია-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულად თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან. მესამე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული პასუხი.

11. ბალიაშვილი ელისაბედი-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები არაა თანხვედრაში თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან. წარმოდგენლი სტატია და სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია

საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა დაბალ დონეზე. გასაუბრებისას კონკურსანტმა ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი დასმულ შეკითხვებს.

12. ბერიშვილი ხათუნა- სამეცნიერო-კვლევითი კონცეფცია პირველ და მეორე ეტაპზე შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრების დროს კონკურსანტმა წარმოაჩინა თავი როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა, რომელსაც შეუძლია თანამედროვე მეცნიერული თეორიების პრაქტიკაში გამოყენება, სწავლებისა და კვლევების ინტეგრაციით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება.

13. მასურაშვილი იოსები-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები მირთადად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან. წარმოდგენლი სტატია და სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებისას კონკურსანტმა ვერ გასცა პასუხი კონცეფციის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს.

14. სიხარულიძე დავით- შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. შეფასება მაღალი. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულ თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან, შეფასება მაღალი. წარმოდგენლი სტატია და სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე; მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული პასუხი.

15. სამადაშვილი უშანგი-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის

ფორმასთან. წარმოდგენლი სტატია და სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე. მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული პასუხი.

16. შაბურიშვილი შოთა- შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულ თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან.

წარმოდგენილი სტატია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე. სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე. მეოთხე კატეგორიის მიხედვით კონკურსანტი შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრების დროს პრეტენდენტმა თავი წარმოაჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა, რომელსაც შეუძლია თანამედროვე მეცნიერული თეორიების პრაქტიკაში გამოყენება, სწავლებისა და კვლევების ინტეგრაციით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება.

17. შენგელია თეიმურაზ-პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს; მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულ თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან. გასაუბრებისას კონკურსანტმა თავი წარმოაჩინა როგორც პრაქტიკული გამოცდილებისა და თანამედროვე თეორიების მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. კონკურსანტი აქტიურადაა ჩართული თსუ-ს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

18. ბარბაქაძე ხათუნა-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს; მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან; მესამე კატეგორიის მიხედვით სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო

კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე; წარმოდგენლი სტატია შეფასდა მაღალ დონეზე; მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასდა როგორც მაღალი. გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული პასუხი.

19. ჩიკვილაძე მიხეილ-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს; მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები სრულ თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან; მესამე კატეგორიის მიხედვით სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე. წარმოდგენლი სტატია და სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია შეფასდა მაღალ დონეზე; მეოთხე კატეგორიის მიხედვით შეფასება – მაღალი. გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული და ამომწურავი პასუხი.

20. ღუდუშაური ლეილა-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს; მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები ძირითადად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთან; წარმოდგენილი სტატია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე; სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა მაღალ დონეზე; გასაუბრებისას კონცეფციისა და სტატიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა გასცა დასაბუთებული პასუხი.

21. კასრაძე თეა-შეფასების პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს; მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები ნაწილობრივ თანხვედრაშია თსუ-ს სილაბუსის ფორმასთან; მესამე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სტატია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა დაბალ დონეზე, სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა საშუალო დონეზე. გასაუბრებისას კონკურსანტმა ვერ გასცა პასუხი კონცეფციის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს.

22. საბაური ლევანი - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია დარგობრივი ცოდნა და გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილმა კონცეფციამ და ნაშრომთა ერთობლიობამ მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტის მიმართ დასმულ ყველა შეკითხვაზე პრტენდენტის მიერ გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხი, როგორც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე პროგრამის შემდგომი განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ.
23. ვარდიაშვილი მარიამი - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება. წარმოდგენილი სამეცნიერო კონცეფცია და ნაშრომი შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრებისას მან დასაბუთებულად უპასუხა დასმულ შეკითხვებს და გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების უნარი.
24. კვატაშიძე ნადეჟდა - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტმა გამოავლინა მაღალკვალიფიციური დარგობრივი ცოდნა და ყველა დასმულ შეკითხვას გასცა ამომწურა პასუხები. მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება. განხილულ იქნა მისი სამეცნიერო კონცეფცია, რომელმაც დაიმსახურა მაღალ დონეზე.
25. სრესელი ნანა - კონკურსანტს გააჩნია დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება და აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება. განხილულ იქნა საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო კონცეფცია, რომელიც შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრების დროს დასმულ ყველა შეკითხვას კონკურსანტი ამომწურავად პასუხობდა, რაც კვალიფიკაციის შესაბამის მოთხოვნებთან თავსებადობას განსაზღვრავს.
26. სოლოდაშვილი დალი - კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური ხარისხი შესაბამება მოთხოვნებს. წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია შეფასდა საშუალოდ და წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსები არ იყო შესაბამისობაში თსუ-ს სტანდარტებთან, რაც გასაუბრების მსვლელობის

დროს დაზუსტდა კომისიის მიერ. კონკურსანტმა პასუხი საგამნმანათლებლო
სფეროს შესაბამის კომპეტენციებზე ვერ დააკმაყოფილა.

27.თოდუა ნუგზარი - კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კონკურსანტის
კვალიფიკაცია, განათლება, კომპეტენციები შეესაბამება მის აკადემიურ ხარისხს და
სამეცნიერო გამოცდილებას. კონკურსანტმა კომისიის წინაშე პრეზენტაბელურად
წარმოაჩინა სამეცნიერო კვლევის კონცეფცია, ასევე ზოგად ჭრილში განიხილა
უახლესი სახელმძღვანელოს მარკეტინგ-მენეჯმენტის საგანმანათლებლო სფეროში
დაფუძნების რელევანტურობის შესახებ, რომლის თარგმანი შესრულებულ იქნა მის
მიერ და შეტანილ იქნა შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. საკონკურსო
კომისიამ მისი აქტივობა შეაფასა მაღალ აკადემიურ დონეზე.

28.ოქრუაშვილი ნანული - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია
შესაბამისი კვალიფიკაცია, კადემიური ხარისხი, პედაგოგიური და სამეცნიერო
გამოცდილება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი იქნა სამეცნიერო კონცეფცია,
რომელიც განხილულ იქნა და შეფასდა მაღალ დონეზე. გასაუბრების დროს მან
დასაბუთებულად უპასუხა დასმულ შეკითხვებს და გამოავლინა ანალიტიკური
აზროვნების უწარი.

29.ჯაში ჩარიტა - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია
კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა, აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური და
სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სოციალური
მარკეტინგისა და გენდერული მარკეტინგის პუბლიკაციების განხილვამ და დასმულ
შეკითხვებზე ამომწურავმა პასუხებმა მიიღო მაღალი შეფასება. წარმოდგენილი
სამეცნიერო კონცეფცია და ნაშრომთა სტრატეგიულმა განხილვამ დაიმსახურა
მაღალი შეფასება.

30.ჭარაია ვახტანგ - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნდა დარგის
შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. გასაუბრებაზე დასაზუსტებლად
სამეცნიერო კვლევის კონცეფციის შესახებ იქნა დასმული შესაბამისი კითხვები.
კონკურსანტს დააზუსტებინეს წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების

წარმოდგენის ვალიდურობის შესახებ ინფორმაცია. ასევე დაზუსტდა საკითხი სასწავლო კურსის სილაბუსის „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების“ შესახებ. კონკურსანტი ვერ ფლობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდებს (სწავლის შედეგების რუქაში შესაბამისი სასწავლო კურსის პოზიციონირება).

31. ხიხაძე ლალი - კომისიის წევრებმა კონკურსანტს გასაუბრების დროს სამეცნიერო კვლევითი კონცეფციის პრობლების სისტემურობაზე დაუსვეს შეკითხვა. მიუხედავად მიღებული განმარტებებისა კომისიამ დაასკვნა, რომ კონცეფციის სისტემურობა არ იყო კორელაციაში წარმოდგენილ პრობლემატიკასთან.
32. კოვზანაძე ირაკლი - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია კვალიფიკაციის შესაბამისი აკადემიური ხარისხი და სამუშაო გამოცდილება. კომისიამ მოიწონა მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის პრაქტიკული გამოცდილების შემდგომში დანერგვის თაობაზე საგანმანათლებლო სფეროში. კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში კონკურსანტს დაუსვეს შეკითხვა, რომ არ დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და იმფაქ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების შესახებ (11 კონფერენცია და 14 სტატია). კონკურსანტმა მოცემული ინფორმაციის სისწორე ვერ დაადასტურა. ასევე დასმულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისი კითხვები, როგორც მიმართულების ხელმძღვანელთან და პასუხი სრულად არ შეესაბამებოდა.
33. ჯგურენაია ემზარი - კონკურსანტს გააჩნია უდიდესი გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია, მაგრამ კომუნიკაციის შესაბამისი უნარები ამ ეტაპისთვის შეფასდა არადამაკმაყოფილებლად.
34. ასლანიშვილი დავითი - კონკურსანტის სამუშაო გამოცდილება, განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია შეფასდა დადებითად, თუმცა

წარმოდგენილი სასწავლო კურსის 11 სილაბუსი არ იყო ESTS გაანგარიშების წესთან შესაბამისობაში.

35.გოგოხია მაია - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს გააჩნია კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა, აკადემიური ხარისხი და პედაგოგიური გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს „საბანკო საქმე“, რომლის პრეზენტაციების მოწონებულ იქნა კომისიის მიერ. დასმულ შეკითხვებზე გაცემულმა ამომწურავმა პასუხებმა მიიღო მაღალი შეფასება.

36. ჩუთლაშვილი ავთანდილ-პირველი კატეგორიის მიხედვით პრეტენდენტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მოთხოვნებს. მეორე კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები მირითადად თანხვედრაშია თსუ-ის სილაბუსის ფორმასთნ. გასაუბრებაზე სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი იყო დამაკმაყოფილებლად.

დაადგინეს: 1.1 საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა იმსჯელა მათ მიერ გაწეული სამუშაოს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან“ შესაბამისობის შესახებ. დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში.

1.2 თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

1.3 თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი

ოქმის შედეგები საკონკურსო-საპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე

/სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე,
ეკონომიკის დოქტორი ნ. თურნავა /

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

/ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი შ. მაჭავარიანი /

კომისიის წევრები

/ასოცირებული პროფესორი მ. კობალავა /

2.

2. გ. გურია

/ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე/

/ასოცირებული პროფესორი ნ. პაიჭაძე/

2. გ. გურია

/ასოცირებული პროფესორი გ. ქეშელაშვილი/

კომისიის მდივანი

2. გ. გურია

/ასოცირებული პროფესორი თ.მუნჯიშვილი/

